

განათლების უფლების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების გამოწვევები ოკუპირებულ ტერიტორიაზე

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა შეიარაღებული კონფლიქტების სამართლებრივი მონესრიგებაა, განსაკუთრებით კი დაზარალებული მოსახლეობის უფლებათა დაცვა, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მიზანია.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ოკუპაციასთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან მწვავედ დგას. აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების¹ მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით, რომლის თანახმადაც დარღვევათა ძირითადი ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხდება.²

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების უფლების ხელმისაწვდომობისა და მისი უზრუნველყოფის პრობლემატიკის შესწავლა, არსებული პრაქტიკის გაანალიზება და მათი გადაჭრის გზების მოსაძიებლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ასევე განაპირობებს ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და სხვა უფლებებთან ერთად, განათლების უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა.

¹ International Committee of Red Cross, Human Rights Watch, Amnesty International.

² ჯიქია მ., გეგენავა დ., ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2017, 184.

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, რომლებიც ანესრიგებენ აღნიშნულ საკითხს, განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება განათლების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და გამოკვეთილია ის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც ხაზს უსვამენ განათლების უფლებისა და მისი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.

2. განათლების უფლება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში

განათლების უფლება გვხვდება ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისოსამართლებრივ აქტში, რომელთა შორისაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის პირველი, რომელმაც აღიარა აღნიშნული უფლება. დეკლარაციის 26-ე მუხლი სამი ნაწილისგან შედგება, რომლის თანახმადაც:

„1. ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაო ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის უნარის შესაბამისად.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.“³

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომელიც 1966 წელს მიიღო გაერომ, განათლების

³ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.

უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის მე-13 მუხლის თანახმად:

„1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“

2. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის:

„ა. დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;

ბ. საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;

გ. უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბარი, ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

დ. ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;

ე. აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.

3. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.

4. ამ მუხლის არც ერთი ნაწილი არ უნდა განიმარტოს, როგორც ხელის შემშლელი ცალკეულ პირთა და ორგანოთა თავისუფლებისათვის, დააფუძნონ და მართონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული პრინციპებისა და იმ მოთხოვნის თანახმად, რომ ასეთ დაწესებულებებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.⁴

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველას განათლების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულფასოვან განვითარებაზე. ისინი ასევე იზიარებენ მოსაზრებას, რომ აღნიშნული უფლება ყველა პირს საშუალებას მისცემს ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხელი შეუწყოს შემწყნარებლობასა და ტოლერანტობას სხვადასხვა ერების, კულტურის, სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ.⁵

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოების მხრიდან აღნიშნული პაქტის შესრულების ზედამხედველობას, ზოგად კომენ-

⁴ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-13 მუხლი.

⁵ Pillai Sh., *Right To Education and International Law – Defining the Right*, GNLU Law Review, N53, 2012, 54.

ტარში განასხვავებს განათლების ოთხ ურთიერთდაკავშირებულ და არსებით მახასიათებელს⁶, კერძოდ:

- ა) განათლების სისტემის არსებობას;
- ბ) განათლების ხელმისაწვდომობას;
- გ) განათლების მისაღებობას;
- დ) განათლების მისადაგება/გამოყენებადობას.

ზემოაღნიშნული ოთხი მახასიათებლის თანახმად, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები; თითოეული მათგანი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის; საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი უნდა იყოს საფუძვლიანი, მოქნილი, რათა მარტივად მოხდეს მათი ადაპტირება საზოგადოების საჭიროებებთან სპეციფიკური სოციალური თუ კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

ბავშვთა უფლებების კონვენცია⁷ შეიცავს დებულებებს, რომელიც უზრუნველყოფს განათლების უფლებას. კერძოდ, ის იმეორებს იუნესკოს განათლების სისტემაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის⁸ ელემენტებს, კერძოდ:

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

- ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;
- ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო

⁶ Coomans F., Exploring the Normative Content of the Right to Education as Human Right: Recent Approaches, *Persona y Derecho*, N50, 2004, 68.

⁷ ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, მუხლები 28-29.

⁸ UNESCO Convention Against Discrimination in Education, 1960, Articles 1-5.

განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების განწევა;

გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;

დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე) ლეზულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონაწილე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობის ხელშეწყობას. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.⁹

დეკლარაცია ყველასათვის განათლების შესახებ (ჯომთეინის დეკლარაცია)¹⁰ არის ლაკონური და კონკრეტული. დეკლარაციის დებულებები ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას არა მხოლოდ როგორც ადამიანის უფლებას, არამედ როგორც აუცილებლობას. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქალთა განათლებაზე.

განათლების უფლება ასევე გვხვდება ადამიანის უფლებათა რეგიონულ ხელშეკრულებებში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია

⁹ ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, მუხლი 28.

¹⁰ The World Declaration on Education for All, 1990.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი,¹¹ ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია,¹² ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია¹³, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია,¹⁴ ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია,¹⁵ ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია¹⁶ და სხვ.

3. განათლების უფლების უზრუნველყოფის ვალდებულება ოკუპირებულ ტერიტორიაზე

დღეს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დასაცავად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედებს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. განათლების უფლებასთან დაკავშირებული დებულებები უფრო მეტად წარმოდგენილია და განმარტებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და მათი მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის თანახმად:

„წინამდებარე პაქტის თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დამოუკიდებლად და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროში, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული უფლებების პროგრესულად სრული რეალიზაციისთვის ყვე-

¹¹ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, 1952, მუხლი 2.

¹² American Declaration of Rights and Duties of Man 1948, Article 12.

¹³ American Convention on Human Rights, 1969, Article 26.

¹⁴ African Charter on Human and People's Rights, 1981, Article 17.

¹⁵ African Charter on Rights and Welfare of the Child, 1990, Article 11.

¹⁶ Arab Charter on Human Rights, 1994, Article 34.

ლა სათანადო საშუალებებით, საკანონმდებლო ზომების მიღწევის ჩათლით“.¹⁷

ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და ოკუპაციის სამართალში განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ურთიერთთავსებადი განმარტების ჩამოყალიბება, თუმცა აღნიშნულ საკითხზე მოსაზრებები ძალიან მწირია როგორც საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, თუ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი მოსთხოვს ოკუპანტ სახელმწიფოს, შეცვალოს რეგულაციები ისე, რომ უფრო პროგრესულად განახორციელოს პაქტით გათვალისწინებული დებულებები, იქნება თუ არა ის უპირატესი ჟენევის IV კონვენციის მოთხოვნებთან შედარებით, რომელთა თანახმადაც, ოკუპანტი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ცვლის რეგულაციებს, როდესაც დგება ამის აუცილებლობა.¹⁸ ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად შესასწავლად, აუცილებელია იმ ოთხი ძირითადი ვალდებულების განალიზება, რომელიც პაქტით არის განსაზღვრული განათლების უფლებასთან მიმართებით.

a. უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება

დაწყებითი განათლება იმდენად ფუნდამენტურია ადამიანის შეძლებლობების განვითარებისათვის, რომ იგი სამართლიანად შეიძლება განისაზღვროს როგორც მინიმალური მოთხოვნა. ის უნდა იყოს მიმართული როგორც სოციალური უნარების განვითარებისკენ, ისე კონცეფციებისა და ღირებულებების სწავლებისკენ.¹⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშო-

¹⁷ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁸ Horowitz J., Human Rights, Positive Obligations, and Armed Conflict: Implementing the Right to Education in Occupied Territories, *Journal of International Humanitarian Legal Studies*, 2010, 314.

¹⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, 26-ე მუხლი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-13 მუხლი.

რისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად, დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო და ყველასთვის უფასოდ ხელმისაწვდომი. ჟენევის IV კონვენცია კი ოკუპანტი სახელმწიფოსგან არ მოითხოვს უზრუნველყოს ბავშვების განათლება, თუ ისინი არ არიან ობლები ან განცალკევებულნი მშობლებისგან. კონვენციის შესაბამისად ოკუპანტმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ყველა იმ დაწესებულების სათანადო მუშაობას, რომლებიც ზრუნავენ ბავშვებზე და მათ განათლებაზე.²⁰ ოკუპაციის სამართლის ძირითად მიზანია, ამ კონკრეტული უფლების შემთხვევაში, დააკისროს ოკუპანტ სახელმწიფოს ვალდებულება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ფუნქციონირებდნენ დევნილი მთავრობის მიერ შემოღებული ნორმებისა და მიდგომების შესაბამისად. თუმცა ოკუპანტის ვალდებულება, უზრუნველყოს უფასო დაწყებითი განათლება, თუ ის არ არსებობდა ოკუპაციამდე, არსადაა განსაზღვრული.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული აღნიშნული ვალდებულების დაუყოვნებლივი შესრულება შეუძლებელია იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომელთაც რატიფიცირების დროისთვის არ ჰქონდათ უფასო დაწყებითი განათლების სისტემა. სწორედ ამ შემთხვევისთვის, მსგავსი სახელმწიფოებისთვის პაქტის მე-14 მუხლით განისაზღვრა ორწლიანი ვადა სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მიღებისათვის, რომლითაც გარკვეული პერიოდის შემდგომ პაქტის მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულების შესრულება იქნება უზრუნველყოფილი.²¹

თუ ოკუპანტი ძალა შემოდის იმ ტერიტორიაზე, სადაც სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლების სისტემა არ არის ხელმისაწვდომი, გონივრული იქნება, მასაც მიეცეს პაქტის მე-14 მუხლით გათვალისწინებული პერიოდი, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს განათლების უფლების ამ ასპექტს.

²⁰ ჟენევის IV კონვენცია, 1949, 50-ე მუხლი.

²¹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-14 მუხლი.

**b. დაწყებითი განათლების დაწესებულებების
ფუნქციონირების უზრუნველყოფა**

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შენევის IV კონვენციის 50-ე მუხლის განმარტების მიხედვით, „როდესაც ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების რესურსები არარელევანტურია, ოკუპანტმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს... რომ პირებმა მიიღონ საკვები, სამედიცინო დახმარება და აუცილებელი პირველადი საშუალებები“²². დაწყებითი განათლების საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული დებულება შეიძლება მიესადაგოს განათლების უფლების უზრუნველყოფასაც, კერძოდ, განათლების დაწესებულებებისა და პროგრამების რაოდენობა უნდა იყოს ადეკვატური, შენობებში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები, შენობა აღჭურვილი უნდა იყოს აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

თუმცა პრობლემად რჩება ის საკითხი, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისგან განსხვავებით, ოკუპაციის სამართლით არ არის განსაზღვრული, თუ რა სამართლებრივი ვალდებულებები აქვს ოკუპანტ სახელმწიფოს იმ რესურსების მიმართ, რომელიც უნდა დაუთმოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. უფრო მეტიც, ამგვარი ქმედებები უფრო მეტად დამოკიდებულია ოკუპანტი სახელმწიფოს ნებაზე და ძირითადად ემსახურება მის ინტერესებს.

**c. განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის
ყველა სახის დისკრიმინაციის გარეშე**

განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის პრაქტიკაში გულისხმობს არსებულ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე არადისკრიმინაციული წვდომის უფლებას. მისი დარღვევაა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა კონკრეტული ეთნიკური, ლინგვის-

²² Pictet J., Commentary on the Geneva Conventions of 12 August 1949: IV Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, 1958, 286.

ტური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ. პაქტის მე-2 მუხლის თანახმად, „სახელმწიფოები იძლევიან იმის გარანტიას, რომ წინამდებარე პაქტში ჩამოთვლილი უფლებები განხორციელებული იქნება რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ადგილის ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“²³.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გვხვდება ოკუპაციის სამართალშიც. ჟენევის IV კონვენციის 27-ე მუხლი კრძალავს ოკუპანტ სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარ დისკრიმინაციულ ქმედებებს, დაფუძნებულს რასობრივ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ შეხედულებებზე.²⁴ ოკუპაციის პირობებში დისკრიმინაციის აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა და უფრო მეტიც, აისახება სახელმწიფო პრაქტიკაში.

ნათელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტების შესაბამისად, ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია გააუქმოს ნებისმიერი დისკრიმინაციული ნორმატიული აქტი, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუკი ის ჟენევის IV კონვენციის გამოყენებას აფერხებს.²⁵

დ. სასწავლო მასალიდან სიძულვილის შემცველი შინაარსის ამოღების ვალდებულება

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში ვხვდებით დებულებას, რომლის თანახმადაც, „განათლებამ ... ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის უნდა განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებ-

²³ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-2 მუხლი.

²⁴ ჟენევის IV კონვენცია, 1949, 27-ე მუხლი.

²⁵ Pictet J., Commentary on the Geneva Conventions of 12 August 1949: IV Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, 1958, 207.

ლობა და მეგობრობა ...“²⁶ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე, აუცილებელია სასწავლო მასალიდან ამოღებულ იქნეს რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების მიმართ აგრესიული შინაარსისა და სიძულვილის შემცველი მასალები. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად ხორციელდება სამხედრო აუცილებლობის გამო ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.²⁷ აქვს თუ არა ოკუპანტ სახელმწიფოს ვალდებულება, სამხედრო აუცილებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიღმა, აღნიშნული ქმედებების განხორციელების? იმ შემთხვევაში, როდესაც რასისტული პროპაგანდა მიმართულია არა ოკუპანტი სახელმწიფოს, არამედ კონფლიქტის მიღმა მყოფი სხვა ქვეყნის თუ ეთნიკური/რელიგიური ჯგუფის მიმართ, ოკუპაციის სამართლის თანახმად, მსგავსი ვალდებულება პრიორიტეტული არ არის, რადგან მისი ძირითადი დაცვის ობიექტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი და არა სხვა ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანია. ასეთი მიდგომა კი იწვევს კონფლიქტს ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებს შორის.

ე. ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჰარმონიზაცია

საერთაშორისო სამართლის კომისიის დისკუსიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა (რომლის ნაწილიცაა ოკუპაციის სამართალი) და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში კოლიზიური ნორმების ჰარმონიზაცია და მათ მიერ წარმოშობილი ვალდებულებების თავსებადობის საკითხის მოწესრიგება.

სასამართლო პრაქტიკის კუთხით მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თა-

²⁶ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, მე-13 მუხლი.

²⁷ Von Glahn G., *The Occupation of Enemy Territory: A Commentary on the Law and Practice of Belligerent Occupation*, 1957, 64-67.

ნახმადაც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ წყვეტს მოქმედებას შეიარაღებული კონფლიქტების დროს ან/და ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა ასეთი პარალელური მოქმედების შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები მიჩნეული უნდა იქნეს *lex specialis*-ად. პირველად მსგავსი მოსაზრება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 1996 წელს მიღებულ სარეკომენდაციო დასკვნაში გააკეთა, რომელიც ეხებოდა სიცოცხლის უფლების ინტერპრეტაციას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დაცვა არ წყდება ომის დროს, გარდა პაქტის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც უფლებათა შეზღუდვა ხდება საგანგებო მდგომარეობის პირობებში. თუმცა, ეს არ ეხება სიცოცხლის უფლებას. აღნიშნული უფლების თვითნებურად შეზღუდვა მოხდა თუ არა საომარი მოქმედებების დროს, უნდა განისაზღვროს *lex speccialis* საფუძველზე შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი ნორმებით, და არა პაქტის მე-6 მუხლის შესაბამისად.²⁸

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნული მოსაზრება გაამყარა თავის შემდგომ გადაწყვეტილებებშიც, 2004 წელს „კედლის საქმეში“²⁹ და 2005 წელს კონგოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთან³⁰ დაკავშირებით. კედლის საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთობასთან მიმართებით არსებობს სამი შესაძლებლობა: ზოგიერთი საკითხი შესაძლოა, ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში ექცეოდეს, ზოგი საკითხი ადამიანის უფლებათა სამართლის, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, სამართლის ორივე დარგს ეხებოდეს.

²⁸ *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, ICJ Reports 1996, para. 25.*

²⁹ *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ Advisory Opinion, 9 July 2004.*

³⁰ *Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), Judgment, ICJ Reports 2005.*

დეს. იმისთვის, რომ სასამართლომ მის წინაშე არსებულ კითხვას რელევანტურად უპასუხოს, მან ორივე დარგი უნდა გაითვალისწინოს.³¹

საქმეში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ, ზემოაღნიშნულ სარეკომენდაციო მოსაზრებებზე მითითებით, სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ორივე დარგის გათვალისწინება. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ არ მიუთითა **lex specialis derogat legi generali** პრინციპზე. მან დაადასტურა, რომ ორივე დარგით გათვალისწინებული სამართლის ნორმები დაირღვა უგანდის მიერ და მას ეკისრებოდა აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობა.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მიიჩნევს, რომ **lex specialis** განსაზღვრავს, თუ რომელი წესი გადაწონის მეორე წესს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“, ნაცვლად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო კონფლიქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმეში სპეციალურ ნორმად ჩაითვალოს.³²

მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების სასამართლო ეყრდნობა **lex specialis** პრინციპს, მცდარი იქნება მხოლოდ ამ მეთოდის სამართლის ნორმების გამოყენების ინტერპრეტირება, რადგან შეიძლება აღნიშნული პრინციპი არ წარმოადგენდეს თანმიმდევრულ ჩარჩოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის ურთიერთკავშირის გასარკვევად და არაეფექტური იყოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს წარმოქმნილი სხვა რთული პრობლემის მოსაწესრიგებლად.³³ ასეთი განმარტება გამორიცხავს **lex specialis derogat generalis** წესის ხისტ გამოყენებას და ნაცვლად

³¹ Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ Advisory Opinion, 9 July 2004, para. 106.

³² ჯაბაური ა., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების ხელოვნება: JUS IN BELLO ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულ ორგანოებში, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2020, 131.

³³ Horowitz J., Human Rights, Positive Obligations, and Armed Conflict: Implementing the Right to Education in Occupied Territories, Journal of International Humanitarian Legal Studies, 2010, 321.

ერთი დარგისთვის პრიორიტეტის მინიჭებით მეორე დარგის გამო-
რიცხვისა, ადგენს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამარ-
თლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორ-
მები ერთმანეთის შემაჯსებელი შეიძლება იყოს.³⁴

4. დასკვნა

განათლების უფლებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამ
ორი დარგის ნორმების ჰარმონიზაცია ისე, რომ უზრუნველყოფილ
იქნეს პირის განათლების უფლების რეალიზება ოკუპირებულ ტე-
რიტორიაზე. ოკუპაციის სამართალი დაფუძნებულია **de facto** ხე-
ლისუფლების, **de jure** ხელისუფლებისა და სამოქალაქო პირების
ურთიერთობზე. როგორც წესი მიიჩნევა, რომ ოკუპაცია თავისი
არალეგიტიმური ხასიათის გამო, დროებითია და ოკუპანტ სა-
ხელმწიფოს არ აქვს უფლება მოქმედი კანონების ძირეულად
ცვლილებისა. აღნიშნული დებულება კი მკვეთრად ეწინააღმდე-
გება სახელმწიფოსა და მის ტერიტორიულ იურისდიქციაში მყოფი
პირების ურთიერთობას.

აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ჟენევის კონვენციები მი-
ღებულია 1949 წელს, ხოლო შემდგომ პერიოდში საკმაოდ ბევრი
ცვლილება განათლების საერთაშორისო სტანდარტებში, რო-
გორც ფიზიკური მოთხოვნების, ასევე ადეკვატური განათლების
არსებითი შინაარსის თვალსაზრისით. დღევანდელი რეალობა
ისაა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს წა-
მყვანი ადგილი უკავია განათლების საერთაშორისო სტანდარ-
ტების გაცილებით უფრო თანამედროვე და დეტალური ინტერპრე-
ტაციით, ვიდრე ოკუპაციის სამართალს. ეროვნულ სამართალში
ერთსა და იმავე საკითხზე არსებული ორი ნორმის კოლიზიის შემ-
თხვევაში, უახლესი არის უპირატესი. ამ პრინციპის გათვალისწი-
ნებით განათლების უფლებასთან მიმართებით უმეტესწილად ადა-
მიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები დომინი-

³⁴ ჯაბაური ა., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების
ხელოვნება: **JUS IN BELLO** ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულ
ორგანოებში, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2020, 130.]

რებენ. თუმცა ამ მოსაზრების განზოგადება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და ორ სხვადასხვა მარეგულირებელ ინსტრუმენტზე მცდარი მიდგომაა.

უფრო მიზანშეწონილია ჰიბრიდული ინტერპრეტაციული მოდელი, რომელიც ეყრდნობა როგორც *lex specialis*-ს, ასევე *lex posterior*-ს, აერთიანებს ადამიანის უფლებათა სტანდარტების ინტერპრეტაციას ოკუპაციის სამართლის ბუნდოვნად ფორმულირებულ დებულებებთან ერთად. *Lex posterior* მიდგომა უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული განათლების უზრუნველყოფის ვალდებულებების განხორციელებას ოკუპაციის სამართალთან შესაბამისობაში.

ჰიბრიდული ინტერპრეტაციული მოდელი ასახავს მიზნობრივ შედეგს, რასაც საერთაშორისო სამართლის კომისია უწოდებს „სისტემური ინტეგრაციის“ ფორმას, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციაში³⁵. სისტემური ინტეგრაციის მიზანია უზრუნველყოს სამართლებრივი მსჯელობის პროცესი, რომლის დროსაც კონკრეტული ელემენტები უფრო მეტად ან ნაკლებად აქტუალური იქნება ინტერპრეტაციის კონტექსტში. ეს განსაკუთრებით რელევანტურია, როდესაც სახეზეა ტექნიკური, ეკონომიკური ან სამართლებრივი პროგრესი და ასევე, როდესაც დებულება ზოგადი ხასიათისაა ან გამოხატულია ისეთი ზოგადი ტერმინებით, რომ მისი დაკონკრეტება ზემოაღნიშნული ცვლილებების დროს მიზანშეწონილია.

აღსანიშნავია, რომ *lex specialis-lex posterior* მიდგომა სისტემურ ინტეგრაციას მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა; არსებობს სხვა გზაც ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმებს შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარკვეული ვალდებულებები შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რათა მას ჰქონდეს მშვიდობიანობის დროს აკრძალული ღონისძიებების

³⁵ Vienna Convention on the law of the treaties, 1969, Article 31.

გატარების საშუალება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში.³⁶

ჩვეულებით სამართალს, ასევე სისტემური ინტეგრაციის გზით, შეუძლია შეავსოს ოკუპაციის სამართლის დებულებები, რაც მათ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან თავსებადს გახდის. 2003 წელს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, როგორც ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტების ნაწილი, გარანტირებულია ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.³⁷

ნაშრომში განხილული მოსაზრებების, სასამართლო და სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების უფლების სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით და არსებული რეალობის გათვალისწინებით, ჰიბრიდული სისტემური ყველაზე მიზანშეწონილი და რელევანტურია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

³⁶ Horowitz J., Human Rights, Positive Obligations, and Armed Conflict: Implementing the Right to Education in Occupied Territories, *Journal of International Humanitarian Legal Studies*, 2010, 325.

³⁷ Concluding observations (Israel), E/C.12/1/Add.90, 23 May 2003, para. 31.